

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეზე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა— 8 მ., ნახევარ წლისა— 5 მ., ხანის თვის— 3 მ., ერთის თვისა— 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორგაბათს გარდა

ფასი განცხადებისა. ღირსობა

ებით ასოზე 1 კაპა, რედაქციის ცეროთი— 5 კაპა.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ოთხი თვის ხელის-მოწერა

### „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადოვის) ქუჩაზე ბ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროზა“.

ფასი ოთხი თვის გაზეთისა, ე. ი. 1 სექტემბრიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—სამი მანეთი.

## საქართველო

### პირველი ნაბიჯები „წარა-პითხვის საზოგადოების“ კომიტეტისა.

ბევრი კერძო საზოგადოება და ამხანაგობა შემდგარა და დაარსებულა ჩვენში, რომელთაც კეთილი, სასარგებლო და მოაწონი მიზანი ჰქონიათ. ბევრი დაარსებულა, მაგრამ, საუბედუროთ, გრძელი დღე არცერთს არ ჰქონია; თითქმის ყველა ამ გვარ საზოგადოებას ბევრი-ბევრი ორი-სამი წელიწადი უცხოვრია დიდის ჰაპანწყვეტითა და მერე ნელა, შეუქმნევლად, წყნარად მიძინებულა, მოძვედარა.

პირველი და უკანასკნელი მიზეზი იმისა, რომ ამგვარი ქველ-მოქმედი და კეთილ-მიზნისანი საზოგადოებანი ვერ ხეირობენ ჩვენში, არის სრული გულ-აღარდნილობა, უენერგიობა და სიზარმაცე იმ ვსრელ-წოდებულ ჩვენ მონაწივე, განათლებულ კაცებისა, რომელნიც მუდამ არიან წვერნი, შემდგენელნი და დამარსებელნი ზემოხსენებულ საზოგადოებათა. ამას გარდა ამგვარ საზოგადოების მოქმედებას და თვით არსებობას ძირს უთხრის და ჰკლავს კიდევ ღონის-ძიების, საშუალების ნაკლებობა, თუმცა ენერგიულ წვერთთ ხშირად აღვილად შეუძლიანთ კეთილის საქმისათვის საშუალება იშოვნონ და ფულიცა.

არც ამ მხრით და არც ცუველა სხვა მხრით არც ერთი უწინდელი ჩვენი საზოგადოებანი არ ყოფილან ისეთს ბედნიერს მდგომარეობაში, როგორშიაც არის წელს დაარსებული „საქართველო“

ში წერა-კითხვის ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება.

მინც კი ცოტათი მცოდნე, ნასწავლი, ენერგიული, წარჩინებული და ქვეყნის საქმეებისათვის გულ-შემატყვიარი ვინმე არის ამ ქვეყანად ჩვენში, თითქმის ყველა წვერია ამ ახლად-დაარსებულის საზოგადოებისა. მიზანი საზოგადოებისა ისეთია, რომ ყველა, ვისაც კი გონება არა აქვს სრულიად დაწელებული და გული დახშული, უეჭველია, თანაუგრძობს. შეულები ახლაც საკმაოთა აქვს თავის მიზნის ასასრულებლად და შექმნეშიც, იმედია, არ შემოაკლდება, რადგან ჩვენი საადგილ-მამულო ბანკები ვერცერთს სხვა ისეთს საგანს ვერ მონახვენ, რომ ამ საზოგადოების მიზანზე უფრო საზოგადო საჭიროება, უფრო სასარგებლო და აუცილებელი იყვეს, და მაშასადამე შემდგეშიაც ყოველთვის მისცემენ იმ თანხას თავიანთ წმინდა მოგებიდამ, რომელიც „საზოგადო საჭიროებათა დასამარებლად“ არის, წესდების ძალით, დანიშნული.

ამ ნაირად, ყოველად სრულსა და შემკობილს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ დააკლდება მეოლოთ ერთი რამ; მაგრამ ეს ერთი რამ არის ძარღვი, სულის ჩამდგმელი და ცოცხალ-ყოფელი ყოველის საზოგადოებისა: ეს განსაზღვრულია, მეცადინეობა, გულ-მოდგინეობა როგორც თვითონ საზოგადოების წვერებისა, ისე განსაკუთრებით იმის გამგებელ, საქმის მწარმოებელ და თაოსან კომიტეტისა. თუ თვითონ წვერები გულგრილობას გამოიჩენენ, თუ ამასთან საზოგადოების კომიტეტიც ჩვენებურად, ქართველურად, გულწაარდნილ და უენერგიოთ მოეკიდა საქმეს, მაშინ ათი იმოდენა წარჩინებული წვერებიც რომ ჰყავდეს საზოგადოებასა, რამდენიც ახლა ჰყავს, და ასი იმოდენა შეძლებაც, მაინც არა გამოვა-რა.

ჯერ-ჯერობით, საუბედუროთ, მხნეობისა და ენერგიულად მოქმედების ნიშნებს ამ საზოგადოების კომიტეტში ძალიან ნაკლებათ ვატყობთ.

საზოგადოება თუ ანსოვს მკითხველს, წელს მისში შესდგა. ამ თვეშივე იყო ამორჩეული შეიდი კაცისაგან შემდგარი კომიტეტი, რომელსაც მიეცა სრული უფლება საზოგადოების საქმეების წარმოებისა და ყველა იმ ფულის დახარჯვისა, რომელიც საზოგადოების ხაზინაში შემოვიდოდა.

მთელმა ოთხმა თვემ გაიარა მას აქეთ; ოთხმა ძვირ ფასმა თვემ, როდესაც კომიტეტს ბევრი რასმესი გაკეთება შეეძლო თავის მიზნის შესასრულებლად; სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ რამდენსამე სოფელში მაინც უნდა დაედგებინებინა სოფლის ხალხისათვის განჩინება უკოლების განსნის შესახებ.


მსეც კი ვერ მოუხერხებია კომიტეტს; ჯერ-ჯერობით იმან მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგა; მაგრამ, საუბედუროდ, არც ეს ნაბიჯი იყო ერთობ ნაყოფიერი: უფრდის უფროსებსა და სახალხო უკოლების დირექტორებს მოსთხოვა ანგარიში იმაზე—თუ რამდენი უკოლა არის იმათ უფრდში, რა მდგომარეობაშია ეს უკოლები და სწავლა როგორ მიდის. უფრდის უფროსების მომსტებულ ნაწილმა ოფიციალური, მშრალი გამოუსადეგარი პასუხი მოსწერეს კომიტეტს ამ მოთხოვნილებაზე და ერთმა იმათგანმა, ხსენებული ცნობების მაკერად, „დროებას“ დაუწყო ოფიციალურა ქალღღმში პოლემიკა, რომ ტყუილს ამბობს, რასაც ამბობსო ის ჩემი უფრდის უკოლებზედაო, ვითომ ეს უკოლები დაკეტილი იყვესო და სხვ. და სხვ.

კომიტეტმა მოითხოვა აგრეთვე ცნობები თვითონ უკოლების მასწავლებლებისაგან—თუ რა საშუალება აქვს თქვენ უკოლებსო, რამდენი შაგირდი გყავთო, რა ენაზე ასწავლითო, რა აკლია უკოლასაო და სხვ. არც ეს ცნობები აღმოჩენილან, როგორც ვგითხრეს, მაინცადა-მაინც გამოუსადეგარი კომიტეტისათვის.

მაგიერად ახლა, ამ სექტემბერში, როგორც შევითყვით, კომიტეტს უფრო ენერგიულად მოუკიდინა თავის მოვალეობისათვის ხელი: ჩვენ შევითყვით, რომ იმას გაუგზავნია თავის ხარჯით ორი აგენტი მუთაისის გუბერნიისაში იმ განზრახვით, რომ უფრო მჭიდროთ დასახლებულს სოფლებში შეადგენინონ ხალხის განჩინება, რომ იმათ ჰსურთ უკოლა განსნან, და თავის მზრუნველობის ქვეშ მიიღონ ეს უკოლები, მასწავლებლები მოუწაონ უკოლისათვის და სხვა-და-სხვა საჭირო მასალებითა და, თუ საჭირო იქნება, ფულითაც შემწეობა მისცენ სოფელს. ამ გვარ აგენტათ მუთაისის, შორაპნის, რაქისა და ლეჩხუმის უზღებში გაგზავნილსა უფ. ალექსი შიქინაძე, ახალ-სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის უფრდებში კი უფ. იონა მეუზარგია.

ჩვენის ჰაზრით, ეს განკარგულება ყოველად-გონიერი განკარგულებაა და

მეტიც ბევრი რასმესი გაკეთება შეეძლო თავის მიზნის შესასრულებლად; სხვა თუ არაფერი, ის მაინც უნდა მოეხერხებინა, რომ რამდენსამე სოფელში მაინც უნდა დაედგებინებინა სოფლის ხალხისათვის განჩინება უკოლების განსნის შესახებ.



ძალიან კარგს იქმნოდა ძომიტეტი, რომ თავიდავე ამნაირად დაეწყო თავის მოქმედება.

ამას გარდა ჩვენ შევითვით, რომ ძომიტეტი მეორე საქმის დაწყებას აპირებს, რომელიც აგრეთვე საქმე და სასარგებლო საქმედ ჩაითვლება. მს საქმე არის მასწავლებლის მომზადება სასოფლო შკოლებისათვის. ამ განზრახვით ძომიტეტი აპირებს მასწავლებლობის მომზადების მსურველთ მოწვევას და საჭირო საგნების კურსის კითხვას. მინც იცის—თუ რამდენი დაბრკოლება აქვს ჩვენ სოფლის შკოლებს იმის გამო, რომ ხეირიანი მასწავლებლები არა გვეყვანან, ის კარგად მიხვდება, რასაკვირველია, რომ მასწავლებლების მომზადება დიდი და საჭირო საქმე იქნება და კარგი დამსახურობა საზოგადოების ძომიტეტის მხრივ.

მს ყველა კარგია; მაგრამ ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ ძომიტეტს უფრო მომეტებული ენერჯია, მხნეობა და საქმის მუყაითობა ეჭირება. ადრეც გვითქვამს, ახლაც ვამბობთ, როცა ჩვენი საზოგადოება და ხალხი დაინახავს, რომ ხსენებული ძომიტეტი რასმე აკეთებს და არიგებს იმ წმინდა და საქვეყნო სასარგებლო საქმისთვის, რომელიც უკისრნია, მაშინ არავინ არ დაიშურებს, არავინ არ დაზოგავს იმისათვის ყოველგვარ შემწეობისა და ღონისძიების მიცემას...

ს. მ.

დღიური

\* \* ჩვენს ოფიციალურს გაზეთს „ძვეკაზში“ გამოცხადებული უმაღლესი მთავრობის განკარგულება, რომლის ძალითაც ახლად-შემოერთებულს ბათუმისა და შარსის მაზრებში შემოიღება ისეთივე აქციზი მარილზე და თამბაქოზე, როგორც საზოგადოთ ძვეკასიაში არის შემოღებული. სასმელების შესახებ არავითარი აქციზი არ არის დადებული გარდა იმისა, რომ ვისაც გამოასხდელი ქვაბები აქვს, რამდენი ვედროც თითოეულ ქვაბში გამოვა, იმდენი თითო მანეთი უნდა გადაიხადონ წელიწადში.

მს ახალი აქციზის სისტემა ამ მომავალი ღვინობისთვის (ოქტომბრის) პირველიდამ იქნება შემოღებული ბათუმისა და შარსის მაზრებში.

\* \* „რუსის საზოგადოება ცეცხლის-გემით მოგზაურობისა და ვაჭრობისა“ აცხადებს, რომ შოთილამ ბათუმს ამ საზოგადოების გემები იმავე დღეებში, ე. ი. სამშაბათობითა და პარასკეობით ივლიანო, მხოლოდ დილის 11 საათის მაგიერად, 9 საათზედ.

\* \* მუდამ წელიწადს ამ დროს მთებშიდამ მოჰყავსთ ხოლმე ცხვრები და მრიალეთისაკენ მიგრეკებიან. სხვა გზა არა აქვთ მეცხვარებს, თუ არა მთილის, უეჭველად ქალაქზე უნდა გამოატარონ და აქ მუდამ ჩივილი ისმის იმათგან, რომ

კინტო-ბიჭები და სხვებიც, ვინც წასწავლება, გეტაცებენ ცხვრებსა და სარდფებში, ვზოებში და ღუქებში შეაგდებენო. ჩვენ თვითნაც რამდენჯერმე ვყოფილვართ მოწამე ამგვარის მტაცებლობისა და ქურდობისა.

ამის გამო უღრვეთ მეცხვარეებს თუ უნდათ, რომ ამ განსაცდელს ააშორონ თავი, ყველაზე უკეთეს იქნება, რომ ან ღამით, ან დღით აღრიანათ, როცა ხალხს ჰძინავს, გამოატარონ ქალაქში თავიანთი ცხვრის ფარები.

\* \* ბაქოს გაზეთი გვაცნობებს, რომ აშტრახანსა და ტარიცინს შუა დამწვარა ცეცხლის გემი, რომელსაც ნავთი მიჰქონდა თურმე ბოჩკებით.

„დროშის“ კორესპონდენცია

შუთაისი, 16 სექტემბერს. როგორ უბედურება არ არის, შუთაისში რომ ქართული წიგნის მაღაზია არ იყოს! ნუ თუ ისე შეუტოპავს მთელს ამ მხარეს გონებითს წყვილიადში, რომ ქართული წიგნის კითხვის სურვილი ფესვიანად ამოვარდნილა? ნუ თუ ქართული წიგნის მაღაზიას საკმაო მუშტარი არ ეყოლება, რომ მის დამფუძნებელს და სწორეგზაზედ წამყვანს შრომა არ გაუტუდდეს? ან და ეგება გამოცდილებით იცოდეს ვინმემ, რომ მთელს იმერეთის მხარეს არ შეეძლოს ამგვარი მაღაზიის საზრდოება?! დავიჯგრო, რომ ეს შესაძლებელი იყვის!

მართალია, იყო აქ ამას წინეთ უ. ძ. მესხის მაღაზია და დაიკეტა, ამბობენ, მის გამო, რომ წიგნები საკმაოდ არ იყიდებოდა და ამიტომ ვალში ვარდებოდაო; მაგრამ ეს სულაც არ გვადლებს მის საბუთს, რომ ესთქვათ, ვითომც მართლა არ შეიძლებოდა შუთაისში წიგნის მაღაზია გაიმართოს. მე აქ არ მინდა ვაუგო უ. მესხი, მაგრამ არ შემიძლია მაინც არ ვსთქვა, რომ მისი გარე-წრობა და გულ-ატრუება არ ყოფილიყოს მთავარი მიზეზი მაღაზიის დაკეტისა. საქმის მცოდნე, ერთგული და მუყაითი, შრომის მოყვარე და ბეჯითი კაცი თუ მოკიდებს ამ საქმეს ხელს, მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მალე აყვავდება მკითხველის საზოგადოების და დამფუძნებლის სასარგებლოდ და წარსამატებლოდ.

ახლა აქაური საზოგადოება დიდს გაჭირებაში არის მის გამო, რომ ყოველი საკითხავი წიგნი, რაც უბრალოდ რამ იყოს, უნდა გამოიწეროს მთლიანად. მაგრამ ყველამ კარგად იცის, რომ ერთი და ორი წიგნის გამოწერა ისე ადვილი არ არის, რომ ყოველმა მსურველმა დაიკმაყოფილოს თავისი სულიერი მოთხოვნილება რომელიმე ახლად-გამოცემულის წიგნის წაკითხვის შესახებ. რამდენი ხანია გამოვიდა „ბლახის ნაამბობი“ ი. ჭავჭავაძისა და აქ კი დღესაც არსად მოიძებნება, რომ იყი-

დოს კაცმა და წაიკითხოს „გამაგიდა სამლო სჯულის სახელმძღვანელო“, უ. დიდებულისისა, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ან იმის ნახვას ველიროთ, თუ რამე უეცარმა შემთხვევამ არ მოგვიმართა ხელი. რამდენი სხვა წიგნებია, ვინ იცის!..

შუთაისს არა აქვს არც ბიბლიოთეკა, რომ შევიდეს კაცი და რამე წაიკითხოს. მე არ უძახი ბიბლიოთეკას იმ ღუქანს, რომელიც იჯარით აქვს აღებული უფ. ბერალდ სან. ლორთქიფანიძისაგან. იქ შემსვლელს სულ დაეკარგება წიგნის კითხვის სურვილი—ბინძურებას, უწყესობას და უჩველებას მკვიდრად დაუბუნია იქ; მარტო ბრიკაშნიკების ლანძღვა-გინება და ყვირილი დაჭვეტინებს კაცს ყურებს, სხვა რომ არა იყოს-რა.

შუთაისში არ არის არც პანსიონი და არც კერძო შკოლა, რომელთაც შეეძლოს ყმაწვილების მომზადება გიმნაზიაში, თუ სხვა სასწავლებელში შესაყვანად. და ეს ხომ სახუმრო საქმე არ არის.

შეაწვილი რომ მოსამზადებელ კლასში შეიყვანო, იმდენად უნდა გყავდეს მომზადებული, რომ შეეძლოს მას უცხო ენაზედ (რუსულზედ) კითხვა თავისუფლად და გაგებით და წანაკითხის განმარტება, აგრეთვე წერა, ანგარიში და ლოცვები, სულ, რასაკვირველია, უცხო ენაზედ. მართის სიტყვით, იმას უნდა შეეძლოს გვარიანად ლაპარაკი რუსულს ენაზედ. ამას თხოულობენ რვა-ცხრა წლის ყმაწვილისაგან, რომელიც ჯერ კიდევ მინდორში უნდა დახტოდეს და თამაშობდეს. მაგრამ რას იზამ, ნებით თუ უნებურად უნდა დააკმაყოფილებინო ეს შეუსაბამო მოთხოვნილება, თუ ვინდა, რომ ყმაწვილი არ დარჩეს სწავლა-განათლების გარე და არ შეიქმნეს სხვის უწყალოების ლუკმა.

ასე ყმაწვილის მომზადება ადვილი საქმე არ არის და არც ყველას შეუძლიან; მიუცილებელი საჭიროა, რომ ეს მოვალეობა თავს იღვან საქმის მცოდნე კაცებმა და ყოველი ღონისძიება იხმარონ, რომ ყმაწვილები მოუმზადებლობის მიზეზით სწავლის მიღებას არ მოაკლდნენ. მს საქმე პატარა საქმე როდია, რადგან ამაზედ არის დამოკიდებული ყმაწვილის ზედი და იღბალი და ქვეყნის წარმატებაც...

შუთაისში, როგორც ყოველს ქალაქში, სადაც კი საშუალო სასწავლებელია, უნდა იყოს კერძო შკოლა, სადაც უნდა შეეძლოს ყმაწვილს ისე მომზადება, როგორც ამას მოითხოვს მისგან სახელმწიფო სასწავლებელის პროგრამა.

აქ იყო უ. პეტრიაშვილის პანსიონი და უ. ალ. ჭიჭინაძის ორ-კლასიანი შკოლა პანსიონით; მაგრამ ახლა არც ერთია და არც მეორე. პეტრიაშვილის პანსიონის გაუქმება სასამოვნოდ უნდა მიგვაჩნდეს, რადგან იქ ერთობ უგზო-უკვლოდ მიდიოდა სწავლისა და აღზრდის საქმე; ის დალოცვილი მასწავლებლად მისთანა კაცს ეძებდა, რომელიც ან ჩერჩეტი უნდა ყოფილიყო და ან



უზნეო, და ეს ძალიან უხდებოდა მის ჯიბეს.

მაგრამ უფ. შიჭინაძის შკოლა კი ზეციერი სიკეთე იყო მოზარდი ყმაწვილებისათვის და მათის მშობლებისათვისაც. უფ. შიჭინაძე არ ხუმრობდა სხვებსაიეთ; მან კარგათ იცოდა მნიშვნელობა იმ გვარი შკოლისა საზოგადოდ და განსაკუთრებით ჩვენში, სადაც სწავლა-განათლებას ფართო და შესაფერი გზა არა აქვს მინიჭებული, სადაც დაბრკოლება ეძლევა მას ყოველის მხრიდან და ყოველის კაცისაგან, ვისაც კი ამისი შეძლება აქვს...

უფ. შიჭინაძემ გამართა შუთაისში ორკლასიანი შკოლა და სცდილობდა, რომ ამ ყოველად-შემძლებელს ძალას, განათლებას რომ ეძახიან, მისცემოდა ფართო და თავისუფალი გზა მსვლელობისა, სცდილობდა, რომ ყმაწვილ-კაცობას, ამ ბურჯს და იმედს ქვეყნისას, გაადვილებოდა სწავლა-განათლების მიღება. და ამ დანიშნულებას პატიოსნადაც ასრულებდა, სანამდისაც კი შეძლება ჰქონდა, ერთგულისა და დაუღალავის შრომის მეოხებით. მაგრამ ერთადერთი კაცი, აბა, რას შეადგენს მართო, თუ საზოგადოებაც ხელს არ უწყობს! საზოგადოებამ ხელი არ უწყო უფ. შიჭინაძეს, რომელიც ამის გამო იძულებული შეიქნა დაეკეტა შკოლა.

რა მიზეზია, რომ ამისთანა საქმის მცოდნემ და ერთგულმა კაცმა დიდის ზარალით დახურა შკოლა, მაშინ როდესაც სხვები, ამავე საქმის წყალობით, მდიდრდებიან თითქმის?! სიბრძავეა საზოგადოებისა და მიუხდომლობა. უფ. შიჭინაძის შკოლის დაკეტა ბევრისათვის, განსაკუთრებით სხვა-და-სხვა სასწავლებლის მასწავლებელთათვის, მეტად სარგო შეიქმნა, მაგრამ თვითონ საქმეს კი დიდი დაბრკოლება მიეცემა ამით...

ამ მდგომარეობაშია, უ. რედაქტორო, ჩვენი ჭკუით ღარიბი ქალაქი—შუთაისი. ბევრი რამ აკლია ამ ქალაქს, მაგრამ ეს სამი უფრო მომჩივნა იმის ღირსად, რომ მეცნობებია თქვენი მკითხველებისათვის...

სვირელი.

# საბაასო

კასუხი ვეზინია ჩხიჩიასს.

შკანასკნელად მეგ. ჩხეიძის თხოვლობას ეუპასუხოთ შემდეგ კითხვებზე:  
1). რა უფლება ჰქონდა წრეს, რომ ჩვენდა - შეუტყობლად გარდასწყვიტა უფლების ჩამორთმევა ალ. შიჭინაძისაგან?  
ზნეობითი, და თუ გნებავთ, იურიდიკულიც. რადგანაც ის ფულები ეკუთვნოდნენ სცენას და მისი კეთილ-დღეობისათვის მხოლოდ წრე ზრუნავს, ამისათვის იმის მეტს არავის არ ჰქონდა

უფლება თანხმობის ხა მიეცა ან წინააღმდეგობა გაეწია მის მოხმარებაში. ხელ-ახლავ მოვახსენებთ, რომ, წრის წესდების ძალით, ის წრის წერი, რომელიც გამოვა წრიდან, იმ დღიდანვე კარგავს ხმის უფლებას შესახებ წრის საქმეებისა. და რადგანაც თქვენ, არა თუ გამოსულხართ, არამედ არც-კი ჩარიცხულხართ, არა გაქვთ სიმართლე წრის საქმეებში გარევისა.

2). თუ უ. შიჭინაძეს ჩამოართვეს უფული, რატომ სხვას არ ჩამოართვეს?

უფ. შიჭინაძეს იმიტომ ჩამოართვეს, რომ ის თფილისში გადადიოდა და თან ხომ არ გაატანდნენ ფულებს? სხვებს კი იმიტომ არ ჩამოართვეს, რომ ჯერ-ჯერობით ის ფულები არ ეჭირებოდა სცენას და უსარგებლოთ გაჩერებას სჯობს, რომ სარგებელი ემატებოდეს, და როდესაც საჭირო იქნება, წრის მოვალენი მოუთხოვენელად წარმოადგენენ.

3). მის მიხარებს ფულებიო?  
ფულები აქვს მიხარებული მფროსინე ძლიაშვილისას.

4). რამდენათ უფრო საიმედო პირია ახალი ფულის შემნახველი ძველზეო?

ძველ შემნახველზედ ჩვენ სამდურავს ვერ ვიტყვი, და ახალზედ ამას ვიტყვი, რომ თქვენ მოხარებას იმის მიხარება სჯობდა ამიტომ რომ ის შეტყვის მაგიერათ, რომ შეძლება ჰქონდეს თავისასაც შესწირავს ამ საქმეს,—რასაც გეიმტკიცებს თავის ხანგრძლივი სცენის სამსახურიო.

5). ისევ ძველ მიზნისათვის იხარჯება ეს ფულები, თუ ახალი დანიშნულება მიეცაო?

შეტველად, ყველამ იცის, რომ შუთაისში თეატრი შენდება და ამასთანავე ქართული ტრუპაა სდგება. ამ ტრუპის დაარსებისათანავე ეს ფულები გადაეცემა ტრუპის მმართველს სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის.—მგონია, ისევ ის მიზანია.

შნლა ორიოდ სიტყვაში მოვახსენებ მკითხველს, რა მიზნით ან ვის სასარგებლოთ იმართებოდნენ ამ ერთი წლის განმავლობაში ქართული წარმოდგენები:

1). ღარიბ მოსწავლეთ დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოთ გაიმართა ორი წარმოდგენა, რომლიდანაც კი ძალი ფული შეიკრიბა.

2). სხვა-და-სხვა ღარიბ მოსწავლეთ და მათ შორის ნოვოროსიის უნივერსიტეტის სტუდენტის ნიკო ბალანჩივაძის სასარგებლოთ რამოდენიმე წარმოდგენა.

3). საქალბო ბიზნაზის სასარგებლოთ, და

4). შემეტეს ნაწილად სცენის სასარგებლოთ.

დასამტკიცებლად იმისა, რომ ამ წარმოდგენებშიდგან შემოსული ფულები მიდიოდნენ პირ-და-პირ დანიშნულებაზე, ჩვენ გვაქვს ღარიბ მოსწავლეთ დამხმარებელ საზოგადოებისაგან და საქალბო ბიზნაზის მართველისაგან კვიტანციები. ნიკო ბალანჩივაძემ გაზეთ „დროებაში“ გამოაცხადა, რომ ყველა

ფულენი მივიღო, რისთვისაც დიდძალ ლობას გვწირავდა, და სცენის სასარგებლოთ არის შეკრებილი 600 მან.; რომლიდანაც სცენის მოყვარეთ წრეს აქვს ნაღდი ფული ხელში 300 მანეთი. დანარჩენი სარგებლით გაცემული სანდო პირებზე, ამ ფულებს მიეცემათ შემომოსხენებული დანიშნულება.

აქედან ცხადათ დანახავს მკითხველი, რომ წარმოდგენებიდგან შემოსულ ფულებს მიუღწევიათ თავის პირ-და-პირ დანიშნულებაზე და არ შეტყულან, როგორც სწამებს წრეს მეგენია ჩხეიძისა. თ

ამასთანავე იმედია, აქედამ ცხადა დანახავს მკითხველი, რომ მეგენია ჩხეიძისას არავითარი უფლება და საფუძველი არ ჰქონდა, რომ რამე ეკითხა და ეჭვი შემოეტანა შუთაისის სცენის მოყვარეთა წრის მოქმედებაზე; ვატყობ, იმის სურვილი ყოფილა მხოლოთ ენის მოფხანა..

ალექსანდრე ზამრეკელი.

შუთაისი, 14 სექტემბერს.

# უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლელი კორრესპონდენტი „პოლიტიკურის მორრესპონდენციისა“ იწერება, რომ იმ დღიდან დაწყებული, რაც ერთმა ვილაც ბერძენმა განიზრახა ხონთქრის მოკლა, სტამბოლში დიდი არეულობა და ხალხის მღელვარება ჰსუფევსო. ხალხი პირ-და-პირ აცხადებს უკმაყოფილებას ახლანდელ სულთანზე; ყველა თოფიარალს ჰყიდულობს, თითქო აჯანყებისათვის ემზადებიანო. ამბობენ, პოლიციას აღმორჩენია შეთქმულობა, რომლის განზრახვა იყოფო, რომ ხონთქარი გადაეყენებინათ ტანტიდამ და იმის ნაცვლად აღრინდელი ხონთქრის აბდულ-აზისის ვაჟი იზხედინი აყევანათ. ამის გამო ხონთქრის სასახლის გარშემო ყარაულები და ჯარები არის დაყენებული, მზათ არიან ვინიცობაა რამე უწყსოება რომ მოხდეს.

გერმანია

ჯერაც არ დაწყნარებულა ის გაცხარებული პოლემიკა, რომელიც ატყდა ამას წინათ ნემეცურსა და რუსულ გაზეთებს შუა; ახლაც ერთისა და მეორე მხრიდამაც ბევრი საყვედური და მჟავე სიტყვები ისმის ზანსაკუთრებით ჰკიცხვენ რუსული გაზეთები თ. ბი. მარკსა და იმის თითქო ტრულ მოქმედებას რუსეთის შესახებ. ამ გარემოებას მოემატა ახლა კიდევ ბისმარკის ყოფნა ვენაში, რომლიდამაც ზოგიერთ გაზეთებს გამოჰყავთ, რომ ბისმარკს ჰსურს ბერმანია და აესტრია ერთმანეთს დაუხლოვოსო და ამნაირად მზად იყოს, თუ ვინიცობაა რუსეთთან შეტაკება მოუხდლო.

შველახე უფრო ეს გაზეთური შეტა-



კება რუსეთისა და გერმანიისა ახარებს ფრანკულს. იმათ იმედი აქვთ, თუმა ამ იმედს ძალიან თავ-დაჭერით აცხადებენ, რომ რუსეთისა და გერმანიის შეტაკებით გერმანია დასუსტდება და ამნაირად ერთ დროს ის აღზასსა და ლოტარინგიას ხელ-ახლად დაიბრუნებს.

## განცხადებანი

მედიცინისა და ხირურგიის დოქტორი **პიუზარინი** დაბრუნდა სამზღვარ გარეთიდან და იღებს ავადმყოფებს მუდამ დღე დღის 8 საათიდან ვიდრე 10-მდინ და საღამოს 5 საათიდან 7-მდინ. ღარიბებს ექიმობისათვის არაფერს არ ახდევინებს. დოქტორი **პიუზარინი** სდგას: სოლოლაკში, ბაღის (სადოვის) ქუჩაზე, მჭენდიევის სახლებში, № 56.

(5—4)

თელავის უეზლის სოფ. ყვარალში

## მიაცემა სრულად

### გაგული: ვენახები, სახნაე-სათე-

სი ადგილები, ტყე, სახლი თავის მარნით, წისქვილით და სხვა ყველაფრით მოწყობილი.

დაწერილებით პირობები. შეტყობა შეიძლება თფილისში, ქაშენდანტის ქუჩაზე, არმაკუნის სახლების (ძრუჯოკის) გვერდით, ეზოში, ავთანდილოვის სახლებში, № 36.

(5—5)

ბამოვიდა და ისყიდება „ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში“ უ. იონისიანთან

### პირველ დაწვებითი სწავლა

მ რ ის ტ ი ა ნ ე ბ რ ი ე ს მ ა რ თ ლ ა დ ი დ ე ბ ლ ო ბ ი თ ის ს ა რ წ მ უ ო ე ბ ის ა.

დ. ოკოლოვისა.

რუსულიდამ გადმოთარგმნილი **მ. დიდებულიძის**აგან.

შასი სასწავლებელთათვის . . . 50 კ.

ხეებთათვის . . . . . 60 კ.

(4—4)

ჭუთაისში, მიხაილოვის ქუჩაზე, ხეჩინოვის სახლებში, ივანე **კურსოვის მაღაზიაში** ისყიდება ნამდვილი, თეთ-

## წიგნა (თაფლის) სანთელი

შასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

ამ გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი ისყიდება აგრეთვე **თფილისში** ა. სიონის ულიცაზედ, **მ. ნანოვის** ქარვალაში.

(10—5)

განცხადებალი ამზადებს **შეგირდებს** **გოკლეში** მისაღებათა. **მსურველთ** სთხოვს თავიანთ ადრასი დასტოვონ „დროების“ რედაქციაში.

(3—3)

მართული წიგნის სასწავლო

## დადანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელიაგან

ბამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

**თბილისი**: ჩარკვიანის, მათნოვის და ბრიჭუროვის წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისი**: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

**სამეგრელოში**: სასულიერო სასწავლებელში **დ. სუჯუნას** მოფურძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. ძეგელიანთან შკოლაში,

**მზურგეთს**: სასულიერო სასწავლებელში,

**ხონში**: უფ. ჭალაგანიძისთან, **გორს**: სასულიერო სასწავლებელში,

**თელავს**: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

**სიღნაღს**: უფ. პ. ბალაშვილთან. შასი ერთის ეგზემპლარიისა აბაში.

თფილისის ქალაქის უბრავე სთხოვს ყველას, ვისაც ტრაქტირები და საზოგადოთ სასმელების ღუქნები და დასადგომი სახლები აქვთ ქ. თფილისში, რათა 5 და 6 ენკენისთვის, დილის 10 საათზედ მივიდნენ ქალაქის საბჭოს ხალაში დეპუტატების ამოსარჩევლოდ თანხმად 22 და შენიშვნის 59 სტ პოლოქ. ტრაქტ. და ღუქნების, ტრაქტირებისა და საზოგადოთ დასადგომი ადგილების მქონე პირთაგან შემდეგი ოთხი წლისთვის აქციის რასკლადკისთვის.

რ. ბ. შ.	დ. შ.	ს. შ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	განაზნა	მან. კაპ.	თფილისის სამკურნალო.
თფილისი . . .	921	518	8	კაპ. 8. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 21 სექტემბ.		მრეწ. მეილ., წინამძღვაროვ. სახლი.
მცხეთა . . .	1011	627	85	44	ძვეკახის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . .	50	შვე. თეთ. ბანჯისა ფუთ.	240	ავადმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდან 10-დინ.
ზორი . . .	1158	943	3	153	როსტოვს, მდგას, მოსკოვს, პეტერბურს, ვარშავს . . . . .	2	შვე. წითელი . . . . .	2	მ. რ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი და მარალევიჩი—შინაგ. ავადმყოფობის.
ხაშური . . .	129	1157	473	242	პეტერბურს, ვარშავს . . . . .	2	ბაშა მრეწვისა, ფუთი.	840	ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი შინაგ. ავადმყოფ.; რეიბი—თვალის, შურაგ.
სურამი . . .	144		490	261	მსხალეოში, შვეიცარიაში . . . . .	3	— ამერიკისა, ფუთ.	930	დვევი—ვენერიულის, და კანისა; ბა.
შვირილა . .	49		721	369	იტალიაში და სფრანგეთში . . . . .	350	ბაქენტილი ბაშა ფუთი.	1170	ბოვი—გულისა და შინაგ.
რანი . . .	657		844	431	ინგლისში. . . . .	375	მატული თუშური ფუთი.	850	მ. თ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: ლისიცივი—ში.
სამტრედია .	51		966	493	<b>ზოგბა</b>		— მრ. აქამისა ფუთი	420	ნაგ, ასტუ-ცატუროვი—ქალისა და
ახალ-სენაკი	843		71	547	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ. ორშ. და ხუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდან: თფილისისა და შოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-გეთს—ორშ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	210	ნაგ, ასტუ-ცატუროვი—ქალისა და
ფოთი . . .	950		24	626			ქონი ფუთი	560	ბავშვების ავადმყოფ.
შოთი . . .	9	3					ქონის სანთელი ფუთი.	760	ხუთ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი—ში.
ახალ-სენაკი	1014		153	78			სტეპარინის სანთელი ფ.	1180	ნაგ. ავადმყოფ. და შურაგლევი—კანის და ვენერიულის.
სამტრედია .	115		261	133			ხორცი ძროხისა დიტრა		პ ა რ ა რ ა ს კ ვ გ ს ი კ ნ ე ბ ი ა ნ: ლისი-
რიონი . . .	1213		384	197			— ცხვრისა, ლიტრა . . . . .		ცვევი, შინაგ.; ასტუ-ცატუროვი—ვე-
შვირილა . .	118	ლაშე.	53	256			სპირტი ვედრო . . . . .	450	ნერ. და კანის; ბაშევი—გულისა და
სურამი . . .	512		110	734			შაქარი ბროც. ფუთ . . . . .	735	შინაგ. ავადმყოფ.
ხაშური . . .	539		137	751			ფხვნილა ფუთი . . . . .	560	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვივი, შინაგ.; შურ-
ზორი . . .	75	4	89	24			შავა რვგალი გრვ. . . . .	65	ავღვევი—ვენერ. და კანის რეიბი—
მცხეთა . . .	850		659	1139			ხუთი ქუნჯუთისა ფუთი.	1570	თვალის.
თფილისი . .	931		756	124			მაშაქო საშუალო ფთ.	670	